6.8. „ხელშეკრულებით'' განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, "მხარეები" პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობითა და ამ "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობებითა და წესით. თითოეული „მხარე" პასუხისმგებელია მეორე "მხარისთვის" მიყენებულ პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზიანზე.

6.9. „მოიჯარე" აცხადებს და ადასტურებს, რომ „მოიჯარის" მიერ, „ხელშეკრულებასთან" დაკავშირებით, „მეიჯარისთვის" მიწოდებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია უტყუარია და შეესაბამება სრულ სიმართლეს. იმ შემთხვევაში, თუ ''მოიჯარის" მიერ, „მეიჯარისთვის" მიწოდებული ინფორმაცია აღმოჩნდება არასწორი, ''მოიჯარე'' ვალდებული იქნება, სრულად აუნაზღაუროს ''მეიჯარის'' და ყველა სათანადო მესამე პირს, აღნიშნულით გამოწვეული პირდაპირი და არაპირდაპირი სახის ზიანი.

6.10.„მხარეები" თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ „მოიჯარეს" „სილქნეტის" წინაშე გააჩნია ან/და აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოეშობა რაიმე სახის დავალიანება, მათ შორის საგადასახადო დავალიანების ან/და სხვა ტიპის პირგასამტეხლოს ან/და საურავის სახით, „მეიჯარე" უფლებამოსილია დავალიანების თანხა გაქვითოს „საიჯარო ქირიდან" და შესაბამისი დავალიანების დასაფარად მიმართოს ამგვარი გაქვითული თანხები.

6.11.„ხელშეკრულების" მიზნებისთვის, „მოიჯარე" აცხადებს და ადასტურებს, რომ იგი („მოიჯარე") არ წარმოადგენს პირს რომელიც შექმნილია ან რომელსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლების მიზნით (რომელსაც მიეკუთვნება, მაგრამ არ შემოიფარგლება თიზ–ის საწარმო, საერთაშორისო ფინანსური კომპანია, სპეციალური სავაჭრო კომპანია, ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტი, მაღალმთიანი დასახლების საწარმო, სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივი, ვირტუალური ზონის იურიდიული პირი) ან/და რომელიც ახორციელებს საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ სანებართვო საქმიანობას (მიეკუთვნება, მაგრამ არ შემოიფარგლება აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატის სალონის, ტოტალიზატორის მომწყობი პირი (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მომწყობი პირისა)...).

6.12.იმ შემთხვევაში თუ „მოიჯარეზე" გავრცელდება აღნიშნული სტატუსები, „მოიჯარე" ვალდებულია არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია სტატუსის გავრცელების ან/და შემდგომი გაუქმების შესახებ „მეიჯარეს" და საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს მას შესაბამისი დოკუმენტი. „მოიჯარის" მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების/ვადების დარღვევის შემთხვევაში „მეიჯარე" უფლებამოსილია დააკისროს „მოიჯარეს" ასეთი დარღვევების შედეგად საგადასახადო ორგანოს მიერ „მეიჯარისთვის" დაკისრებული სანქციები და საურავები.

7. ფორს-მაჟორი

7.1. „მხარეები" თავისუფლდებიან "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობა განპირობებული იყო დაუძლეველი ძალის მოქმედებით. ამგვარი გარემოებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი გარემოებებით: ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, სხვა სტიქიური უბედურებები, ომი, საომარი მოქმედებები, გაფიცვები, მესამე პირების მხრიდან "იჯარის საგნის" მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა, სახელმწიფო და მმართველობის ორგანოების მიერ ისეთი ნორმატიული აქტების მიღება, რომლის საფუძველზე შეუძლებელია "მხარეთა" მიერ ამ "ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად ან სრული შესრულება.

7.2. "მხარეები" ვალდებულნი არიან დაუყონებლივ, წერილობით შეატყობინონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის და დასრულების შესახებ.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. „ხელშეკრულების" შეწყვეტა დასაშვებია:

8.1.1. „ხელშეკრულების" ვადის ამოწურვის გამო;

8.1.2. „მხარეთა" ურთიერთშეთანხმებით;

8.2. „მეიჯარეს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს "ხელშეკრულება":

8.2.1. დაუყოვნებლივ თუ „მოიჯარე" „საიჯარო ქირის" გადახდის ვადის დადგომიდან 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში არ იხდის "საიჯარო ქირას". "მხარეთა'' შეთანხმებით შესაძლებელია ამ ვადის გაგრძელება;

8.2.2. ნებისმიერ დროს თუ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით შეატყობინებს "მოიჯარეს" "ხელშეკრულების" შეწყვეტის თაობაზე ინფორმაციას.

8.2.3. თუ "მოიჯარე'' არღვევს "ხელშეკრულებით'' დაკისრებულ ვალდებულებებს და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება "მეიჯარის'' წერილობითი შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. "მხარეთა'' შეთანხმებით შესაძლებელია ამ ვადის გაგრძელება.

8.3. „მოიჯარეს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს "ხელშეკრულება":

8.3.1. თუ "მეიჯარე'' არღვევს "ხელშეკრულებით'' დაკისრებულ ვალდებულებებს და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება "მოიჯარის'' წერილობითი შეტყობინებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში. "მხარეთა'' შეთანხმებით შესაძლებელია ამ ვადის გაგრძელება.

8.4. „მოიჯარეს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს "ხელშეკრულება", თუ "მეიჯარეს" 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით შეატყობინებს "ხელშეკრულების" შეწყვეტის თაობაზე ინფორმაციას.

8.5. წინამდებარე "ხელშეკრულების'' შეწყვეტა არ ათავისუფლებს "მხარეებს'' "ხელშეკრულების'' შეწყვეტამდე არსებული შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.6. „მხარეები" თანხმდებიან, რომ "მეიჯარის" მიერ „ხელშეკრულების" საერთო პირობების მერვე მუხლით გათვალისწინებული ვადების დაცვით „ხელშეკრულების" ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, "მეიჯარეს" "არ დაეკისრება რაიმე სახის საჯარიმო სანქციები (ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი დავალიანების, დაკისრებული პირგასამტეხლოს ან/და ჯარიმის თანხების გარდა) ან/და „ხელშეკრულების" შეწყვეტის შემდგომ დარჩენილი ვადის „საიჯარო ქირის" ანაზღაურების ვალდებულება.

9. დასკვნითი დებულებები

9.1. „ხელშეკრულების" ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, „მხარეთა" მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს ''ხელშეკრულების'' შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, აღნიშნული შეცდომა/ხარვეზი არ შეესაბამება ''ხელშეკრულების''

სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) ''ხელშეკრულების'' შინაარსთან (განმარტებასთან) დაკავშირებით, არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

9.2. „ხელშეკრულების" მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. ნუმერაციაში და მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მითითებაში ცდომილება/სხვაობის არსებობის შემთხვევაში გამოიყენება მითითებული მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მნიშვნელობიდან გამომდინარე შესაბამისი შინაარსის მქონე ხელშეკრულების მუხლები (პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი;

9.3. „ხელშეკრულებაში'' ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ წერილობით, "მხარეთა" შეთანხმებით;

9.4. იმ შემთხვევაში, თუ ამ "ხელშეკრულების" რომელიმე მუხლი გაუქმდება, ეს არ გამოიწვევს სხვა მუხლების მოქმედების შეწყვეტას;

9.5. "მხარეთა'' შორის წარმოშობილი უთანხმოებანი წყდება მოლაპარაკების გზით. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს საქართველოს შესაბამისი სასამართლო, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.6. „მხარეები" თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, „მეიჯარის" სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

9.7. ''ხელშეკრულება'', მასში გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება "მხარეთა'' შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

9.8. "ხელშეკრულება'' დადებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომლის 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა "მოიჯარეს" და 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა "მეიჯარეს".

სს „სილქნეტი"
მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. #95
საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978
ბანკი:სს. „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE97TB7404936070100004

ზვიად კიკნაძე
მინდობილი პირი

სს ''თიბისი ბანკი"
მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., №7
საიდენტიფიკაციო კოდი: 204854595

ლეევან ილურიძე
სტრატეგიული საოპერაციო პროექტების განყოფილების მენეჯერი

#91 6/24-8

თარიღი: 20 02 2020

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

სს „სილქნეტი“ (ს/კ 204566978) თანახმაა, რომ სს „თიბისი ბანკმა“ განათავსოს ბანკომატი კომპანიის საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე.

მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ.N93/95

საკადასტრო კოდი: 01.16.01.020.019.01.501

დავით მამულაიშვილი

გენერალური დირექტორი

www.silknet.com

0112 თბილისი, საქართველო
წინამძღვრიშვილის ქ. 95

0112 Tbilisi, Georgia
95 Tsinamdzgvrishvili str.

Tel: (995 32) 2100000
FAX: (995 32) 2100001

იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 27 ოქტომბერი 2017 წელი

ერთის მხრივ, სს „სილქნეტი", სააქციო საზოგადოება დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. #95, საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978 (შემდგომში „მეიჯარე")წარმოდგენილი სს „სილქნეტის" გენერალური დირექტორის მინდობილი პირის ზვიად კიკნაძის (პ/ნ: 57001006564) სახით

და

მეორე მხრივ, სს "თიბისი ბანკი", სააქციო საზოგადოება, დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., №7, საიდენტიფიკაციო კოდი: 204854595 (შემდგომში „მოიჯარე"), წარმოდგენილი სტრატეგიული საოპერაციო პროექტების განყოფილების მენეჯერის ლევან ილურიძის (პ/ნ 01013007067) სახით (რომელიც მოქმედებს ოპერაციული დირექტორის მიერ 26.12.2016წ. გაცემული #348/107-12 მინდობილობის საფუძველზე)

ვდებთ ამ ხელშეკრულებას (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

„მეიჯარე" და „მოიჯარე" შემდგომში ერთობლივად მოიხსენიებიან როგორც "მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე როგორც "მხარე"

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „მეიჯარე" „მოიჯარეს" დროებით სარგებლობაში გადასცემს, „მეიჯარეს" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან შემდეგი მახასიათებლების მქონე 2 (ორი) ფართს "მოიჯარის" კუთვნილი ბანკომატების განსათავსებლად (შემდგომში „იჯარის საგანი/საიჯარო ფართ(ებ)ი").

1.2. **„უძრავი ქონების" რეკვიზიტები:**

უძრავი ქონება N1:

- მისამართი: ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა N14, (ნაკვეთი 07/69)
- საკადასტრო კოდი: 01.10.15.007.069
- "იჯარის საგნის" ფართობი: 1 (ერთი) კვ.მ
- მესაკუთრე: სს „სილქნეტი" (ს/ კ: 204566978)

უძრავი ქონება N2:

- მისამართი: ქალაქი თბილისი, წინამძღვრიშვილის ქუჩა N95
- საკადასტრო კოდი: 01.16.01.020.019.01.500
- "იჯარის საგნის" ფართობი: 1 (ერთი) კვ.მ
- მესაკუთრე: სს „სილქნეტი" (ს/ კ: 204566978)

1.3. „მოიჯარეს" „საიჯარო ფართები" გადაეცემა, „საიჯარო ფართების" გადაცემის თაობაზე „მხარეთა" შორის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. „ხელშეკრულება" ძალაში შედის „მხარეთა" მიერ „ხელშეკრულების" ხელმოწერის დღიდან და მოქმდებს „ხელშეკრულების" ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) წლის ვადით.

2.2. „მხარეები" თანხმდებიან, რომ თუ „ხელშეკრულების" მოქმედების ვადის ამოწურვამდე 1 (ერთი) თვით ადრე, რომელიმე „მხარე" არ განაცხადებს წერილობითი ფორმით „ხელშეკრულების" შეწყვეტის შესახებ, „ხელშეკრულების" მოქმედება გაგრძელდება 1 (ერთი) წლის ვადით, იგივე პირობებით. აღნიშნული წესი, მოქმედებს ყოველი მომდევნო ერთწლიანი ვადის ამოწურვისას.

3. მოიჯარის უფლება-მოვალეობანი

3.1. **„მოიჯარე" ვალდებულია:**

3.1.1. „ხელშეკრულების" ვადის გასვლის ან/და ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, „მოიჯარე" ვალდებულია „იჯარის საგნიდან" გაიტანოს (დაცალოს) მის მიერ „იჯარის საგანში" განთავსებული მოძრავი (გამოცალკევებადი) ნივთები და გავიდეს „იჯარის საგნიდან" არაუგვიანეს „ხელშეკრულების" შეწყვეტიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში .

3.1.2. „ხელშეკრულების" ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემდეგ "მოიჯარე" ვალდებულია დაუბრუნოს "მეიჯარეს" "იჯარის საგანი" იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც მას გადაეცა "იჯარის საგანი", ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

3.1.3. დაუშვებელია „იჯარის საგნის" ქვეიჯარით ან/და რაიმე სხვა ფორმით უფლებრივად დატვირთვა „მეიჯარის" წინასწარი წერილობითი თანხმობის/ნებართვის გარეშე.

3.1.4. წინასწარ შეატყობინოს და „მეიჯარისგან" მიიღოს წერილობითი თანხმობა, „იჯარის საგნის" რეკონსტრუქციის ან კაპიტალური რემონტის ჩატარების შესახებ („მოიჯარე" არ აუნაზღაურდება და არც საიჯარო ქირიდან გაიქვითება იჯარის საგნის გაუმჯობესების ხარჯები);

3.1.5. „ხელშეკრულების" სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის შემთხვევაში (მათ შორის, „ხელშეკრულების" შეწყვეტის შემთხვევაში „ხელშეკრულების" საფუძველზე გაფორმებული შეთანხმების, ასევე „ხელშეკრულების" შეწყვეტის/გაუქმების რეგისტრაციის ხარჯი) ხარჯები ეკისრება „მოიჯარეს" ;

3.1.6. დაიცვას ყველა საყოფაცხოვრებო და ხანძარსაწინააღმდეგო წესი, განახორციელოს „იჯარის საგნის" მოვლა-პატრონობა, ჰქონდეს იგი სრულ წესრიგში.

3.1.7. შეინარჩუნოს "იჯარის საგანი" სარგებლობისათვის ნორმალურ მდგომარეობაში და არ დაუშვას მასზე მისი თანამშრომლების, მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფ პირთა, ასევე სხვა მესამე პირთა მიერ დაზიანება.

3.1.8. „მოიჯარე" ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რაც მისი მიზეზით შესაძლებელია მიადგეს „იჯარის საგანს" და მესამე პირებს.

3.1.9. გამოიყენოს "იჯარის საგანი" "ხელშეკრულებით" განსაზღვრული მიზნებისათვის და კანონით დადგენილ ფარგლებში.

3.1.10. მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა „იჯარის საგნის" დაზიანების საფრთხისაგან დასაცავად.

3.1.11. „მოიჯარე" აცხადებს და ადასტურებს, რომ მას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოპოვებული აქვს ყველა აუცილებელი ნებართვა/უფლება/თანხმობა, რაც აუცილებელია მის („მოიჯარის") მიერ, „ხელშეკრულების" გასაფორმებლად და ''ხელშეკრულებით'' განსაზღვრული უფლება–მოვალეობების ჯეროვნად განსახორციელებლად/შესასრულებლად. იმ შემთხვევაში, თუ ''მოიჯარის'' აღნიშნული განცხადება აღმოჩნდება არასწორი, ''მოიჯარე'' ვალდებულია, სრულად აუნაზღაუროს ''მეიჯარეს'' და ყველა სათანადო მესამე პირს, აღნიშნულით გამოწვეული პირდაპირი და არაპირდაპირი სახის ზიანი.

3.1.12. უზრუნველყოს „საიჯარო ქირის" დროულად და სრულად გადახდა;

3.2. **„მოიჯარე" უფლებამოსილია:**

3.2.1. „ხელშეკრულების" მოქმედების დასრულების ან/და ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მოხსნას და დაიბრუნოს „იჯარის საგანში" მის („მოიჯარის") მიერ განთავსებული (გამოცალკევებადი) მოძრავი ნივთები „იჯარის საგნის" დაუზიანებლად;

3.2.2. მოსთხოვოს „მეიჯარეს" „იჯარის საგნით" თავისუფალი სარგებლობა (იმ შემთხვევების გარდა, თუ ამგვარი სარგებლობით „მეიჯარეს" ადგება ზიანი/ზარალი).

4. მეიჯარის უფლება–მოვალეობანი

4.1. „მეიჯარე''ვალდებულია:

4.1.1. არ ჩაერიოს „მოიჯარის" საქმიანობაში და „იჯარის საგნის" გამოყენებაში . თუკი ასეთი ჩარევის შედეგად "მოიჯარე" კარგავს "იჯარის საგნის" ან მისი ნაწილის გამოყენების საშუალებას.

4.1.2. უზუნველყოს „მოიჯარის" კუთვნილი ბანკომატები ელ.ენერგიის ქსელით.

4.1.3. უზრუნველყოს „მოიჯარის" მიერ „იჯარის საგნით" თავისუფლად სარგებლობის შესაძლებლობა (იმ შემთხვევების გარდა, თუ ამგვარი სარგებლობით „მეიჯარეს" ადგება ზიანი/ზარალი)

4.2. **„მეიჯარე" უფლებამოსილია:**

4.2.1. მოითხოვოს "საიჯარო ქირის" დროულად გადახდა "ხელშეკრულების" დებულებათა შესაბამისად.

4.2.2. პერიოდულად მოახდინოს "იჯარის საგნის" დათვალიერება, ამის შესახებ "მოიჯარის" წინასწარი გაფრთხილების საფუძველზე.

4.2.3. იმ შემთხვევაში, თუ „მოიჯარის" მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები არ სრულდება ან/და სრულდება არაჯეროვნად, „მეიჯარე" უფლებამოსილია შეწყვიტოს „ხელშეკრულება" ან/და „მოიჯარეს" დააკისროს ჯარიმა „ხელშეკრულების" 6.1. პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობით;

5. საიჯარო ქირა და გადახდის პირობები

5.1. „მოიჯარის" მიერ 1 (ერთი) თვის ვადით თითო „საიჯარო ფართით" სარგებლობის ღირებულებაა 100 (ასი) ლარს, შესაბამისად ორი „საიჯარო ფართით" სარგებლობის ჯამური ღირებულება იქნება 200 (ორასი) ლარი (შემდგომში „საიჯარო ქირა").

5.2. „საიჯარო ქირის" გადახდის ვადის ათვლა დაიწყება, „მხარეთა" შორის „ხელშეკრულების" 1.3. პუნქტით გათვალისწინებული მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან;

5.3. „საიჯარო ქირის" გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი საანგარიშსწორებო თვის მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე, უნაღდო ანგარიშსწორებით „მეიჯარის" საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით;

5.4. „საიჯარო ქირა" მოიცავს "მოიჯარის" მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის და სხვა კომუნალურ გადასახადებს.

5.5. „საიჯარო ქირა" მოიცავს დღგ–ს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სხვა სახის გადასახადს.

5.6. „მხარეები" თანხმდებიან, რომ ყოველი 1 (ერთი) წლის ვადის გასვლის შემდგომ, იმ შემთხვევაში თუ "მეიჯარე" ჩათვლის, რომ საანგარიშო წლისათვის მსგავსი ფართის საბაზრო საიჯარო ღირებულება მეტია „საიჯარო ქირაზე'', "მეიჯარე" უფლებამოსილია გაზარდოს იჯარის ქირა მიმდინარე წლის „საიჯარო ქირაზე'' საბაზრო ღირებულების 25%-ს (ოცდახუთი პროცენტი) ოდენობით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. „მხარის" მიერ, „ხელშეკრულების" ცალმხრივად შეწყვეტის (ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის დაუცელად), აგრეთვე „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, „მხარეს" დაეკისრება პირგასამტეხლო „საიჯარო ქირის" ორმაგი ოდენობით (შემფგომში „ჯარიმა"). დაკისრებული ჯარიმის გადახდას, შესაბამისი მხარე განახორციელებს, უფლებამოსილი „მხარის" შეტყობინებიდან ან „ხელშეკრულების" შეწყვეტიდან, არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;

6.2. "მოიჯარის" მიერ „საიჯარო ქირის" გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, „მეიჯარე" უფლებამოსილია "მოიჯარეს" დააკისროს პირგასამტეხლო „საიჯარო ქირის" 1%-ს ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

6.3. „მოიჯარეზე" „ხელშეკრულების" 6.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრება და „ხელშეკრულების" 6.2. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვა და დაანგარიშება ხორციელდება დამოუკიდებლად, „მეიჯარე" უფლებამოსილია პირგასამტეხლოს დარიცხვა/დაანგარიშება და ჯარიმის დაკისრება განახორციელოს, როგორც ცალ–ცალკე, აგრეთვე ერთობლივად.

6.4. „მოიჯარე" პასუხისმგებელია და ვალდებულია აანაზღაუროს „მეიჯარესა" და მესამე პირებისთვის მიყენებული პირდაპირი და არაპირდაპირი სახის ზიანი/ზარალი.

6.5. „მოიჯარეს" არ აუნაზღაურდება „იჯარის საგნის" გაუმჯობესების ან/და რეკონსტრუქციის შედეგად გაწეული ხარჯები;

6.6. პირგასამტეხლოს და ჯარიმის გადახდა "მოიჯარეს" არ ათავისუფლებს "ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.7. „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირგასამტეხლო/ჯარიმის დაკისრება წარმოადგენს ,,მეიჯარის" უფლებას და არა ვალდებულებას.